საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-318

26/04/2022

ქ. თბილისი

შპს „ეი ჯი ინდასთრისის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ბაზა სამტრედიაზე“ გადაცემის შესახებ

2022 წლის 6 აპრილს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ეი ჯი ინდასთრისის“ და შპს „ბაზა სამტრედიას“ დირექტორებმა. შპს „ეი ჯი ინდასთრისმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ბაზა სამტრედიაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2016 წელს სამინისტროს მიერ შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოებაზე გაიცა №47 (12.10.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 27 აგვისტოს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-823 ბრძანება „შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. 2019 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ეი ჯი ინდასთრისს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-823 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ბაზა სამტრედიას“;

2. შპს „ბაზა სამტრედიამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-823 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ეი ჯი ინდასთრისზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის №2-937 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბაზა სამტრედიასა“ და შპს „ეი ჯი ინდასთრისს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბაზა სამტრედიისა“ და შპს „ეი ჯი ინდასთრისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი